2741/4-13/19 2 13032019

2741/4-13/19
13-03-2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

გიგზავნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიმდინარე წლის 5 მარტს, ბავშვთა დაცვისა და სოციალური მუშაობის სისტემის პრობლემებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შედეგად კომიტეტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

1. განიხილოს და წარმოადგინოს წინადადებები სოციალური მუშაკთა, მათ შორის ფსიქოლოგთა საშტატო ერთეულების, ოპტიმალური რაოდენობით და ეტაპობრივად გაზრდის საკითხებზე „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რაოდენობის ზევით ან/და ვადებზე ადრე.
2. წარმოადგინოს წინადადებები სოციალური მუშაკებისთვის აუცილებელი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, მათ შორის სამუშაო ადგილებზე კონფიდენციალური გასაუბრების ოთახების მოწყობასთან დაკავშირებით.
3. წარმოადგინოს წინადადებები სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, მათ შორის ხელფასების ზრდის და სატრანსპორტო უზრუნველყოფის მიმართულებით.

ამასთანავე, კომიტეტმა, ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია:

1. სოციალურ მუშაკებსა და სამინისტროს შორის მედიაციის პროცესის გაგრძელების თაობაზე.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე, რომელიც მიმართულია სოციალური მუშაკის პროცესუალური ტვირთის (მათ შორის სასამართლო განხილვებში მონაწილეობა) შემცირებისკენ.
3. სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად სოციალური მუშაკის ფუნქციების ოპტიმიზაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში მოგვაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული რეკომენდაციების აღსრულებასთან და ამ კუთხით მიმდინარე ღონისძიებებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
აკაკი ზოიძე